საექსპერტო დასკვნა

IV კლასს დაქვემდებარებული, სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობაზე.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, გაგრის ქუჩა №2 (ს/კ 01.17.11.008.206).
დამკვეთი – შპს "აისბერგთბილისი".
პროექტის ავტორი და შემსრულებელი არქიტექტორი – ნ. კაპატაძე.

ინსპექტორი – არქიტექტორი კ. მაჩაიძე.

დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

პროექტის მიზანს წარმოადგენს შერეული ტიპის მშრალი პროდუქციის საწყობის შენობის დაგეგმარება თანამედროვე გეგმარებითი პრინციპების და შენობა ნაგებობის უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ თბილისში გაგრის ქუჩა №2-ში. ტერიტორია რომლის საკადასტრო კოდია 01.17.11.008.206, არის შპს „აისბერგ თბილისის“ კუთვნილებაში არსებული საკადასტრო ერთეული. ტერიტორიაზე შევდივართ აღმოსავლეთით არსებული გაგრის ქუჩით. ასევე ნაკვეთში შემოსვლა შესაძლებელია დასავლეთის მხრიდან, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩიდან, შპს „აისბერგ თბილისის“ საკუთრებაში არსებული ნაკვეთის გავლით. ნაკვეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სააქციო საზოგადოება „პროკრედით ბანკის“ საკუთრებაში არსებული ნაკვეთი, ხოლო აღმოსავლეთიდან ცხრა სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ნაკვეთი მშვიდი რელიეფით ხასიათდება და დონეთა სხვაობა აბსოლიტურ ნიშნულებს შორის 449,54-446.11 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

. საპროექტო შენობის, შპს „აისბერგ თბილისის“-ის შერეული ტიპის მშრალი პროდუქციის საწყობია. შენობა ერთსართულიანია მკაცრად ფუნქციური არქიტექტურით. შენობაში ოთხი სათავსია, ჩასატვირთი სივრცე და სამი სასაწყობე სათავსი. ერთ-ერთი საწყობიდან ხდება მცირეგაბარიტიანი \მანქანებით დასაწყობებული ნაწარმის ჩამოტვირთვა. შენობაში მოწყობილია სამი საევაკუაციო გასასვლელი. ტერიტორიაზე შემოსასვლელთან მოწყობილია საყარაულო ჯიხური და სანკვანძები.

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

. შენობა ერთსართულიანია და მისი ძირითადი სტრუქტურული სისტემა შედგება ლენტური საძირკვლისაგან და იატაკზე მოწყობილი რკინა-ბეტონის ფილისაგან, ხოლო შენობის კარკასი მეტალის ჩარჩოს წარმოადგენს, რომლის კედლებიც და სახურავიც თეთრი ფერის ქვაბამბის სენდვიჩ-პანელითაა შემოსილი.

შენობა აღიჭურვება თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით და ამ ფუნქციის შენობისათვის საჭირო უახლესი სახანძრო სისტემებით.

დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

. საწარმოო შენობის და საპროექტო მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისათვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება 41, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“.

ტექნიკურ ეკონომიური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი - 4158.0 კვ.მ.
განაშენიანების ფართობი - 1716,5 კვ.მ.
საერთო ფართობი - 1637,81 კვ.მ.
საოფისე ფართობი - 22,1 კვ.მ.

სასაწყობე ფართობი - 1425,5 კვ.მ.
დამხმარე ფართობი - 164,1 კვ.მ.
კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი - 26,11 კვ.მ.

სამშენებლო მოცულობა - 12882,0 კუბ.მ.
0.00 ნიშნულის ზევით - 12882,0 კუბ.მ.
0.00 ნიშნულის ქვევით - 0,0 კუბ.მ.
შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე - 11,08 მ.
0.00 ნიშნულის ზევით - 8,58 მ.
0.00 ნიშნულის ქვევით - 2,5 მ.

1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილია ერთსართულიანი სასაწყობე შენობის პროექტი.
პროექტში გამოყენებულია **სასაწყობო (სწ-1) და საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობები, რომლებიც კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **304 და 311 ქვეთავებს.**

საპროექტო შენობის შერეული ტიპის მშრალი პროდუქციის საწყობი **311.3 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **1425.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=32**;

ასევე, სართულზე განთავსებული ჩასატვირთი სივრცე და ოფისები **304.1 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **186.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=21**.

შემოთავაზებული ფართობების ჯამი – 1611.8 მ²;
დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი – დდ=53.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ დაკავებულობებისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას.

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (ლითონის ღეროვან სივრცითი კარკასი შემოფარგლულია "ქვაბამბის სენდვიჩის" ტიპის მეტალის მრავალფენიანი პანელებით), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული მონოლითური რკინაბეტონის ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (ლითონის ფერმაზე მოწყობილი "ქვაბამბის სენდვიჩის" ტიპის მეტალის მრავალფენიანი ფენილი) აკმაყოფილებს **601 ცხრილის** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობაში გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით და შენობაში არსებული დაკავებულობის საფუძველზე შენობისთვის განსაზღვრულია კონსტრუქციის **II-B** ტიპი.

პროექტის მიხედვით, ზემოთაღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი (**721 ქვეთავში** აღწერილ მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე) შეადგენს 1 საათს და შეესაბამება **601 ცხრილში II- B** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების (ლითონის კარკასზე მოწყობილი "ქვაბამბის სენდვიჩის" ტიპის მეტალის მრავალფენიანი ფენილი) ცეცხლმედეგობის ხარისხი 1-საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ ხანძარსაწინააღმდეგო ხარისხს.

იატაკის და სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **601 ცხრილის** მოთხოვნებს.

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

მე-5 თავის 503-ე ცხრილის შესაბამისად, **II-B** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის განსაზღვრულია სიმაღლე – **16.8 მ**, ხოლო დაკავებულობის მიხედვით:
სწ-1 ჯგუფის დაკავებულობითვის: სართული – **3** და ფართობი – **1630 მ²**;
სქ ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **4** და ფართობი – **2140 მ²**;

ხოლო პროექტით წარმოდგენილია:

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სიმაღლე – **8.58 მ**, სართული – **1** და ფართობი – **1425.6 მ²**;
საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სიმაღლე – **8.58 მ**, სართული – **1** და ფართობი – **186.2 მ²**;

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა **1**-სართულიანია მიწის ზემოთ, სიმაღლით – **8.58 მ**, მიწის დონის ზემოთ ბოლო იატაკის ნიშნულით **0.00 მ**, განაშენიანების ფართობით **1716.5 მ²** და საერთო ფართობით – **1637.81 მ²**.

საპროექტო შენობების სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების **მე-5 თავის 503-ე ცხრილის** მიხედვით, შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე და აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის,

გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო შენობას მოწყობილი აქვს სამი საევაკუაციო გასასვლელი. შენობა ერთსართულიანია, სადაც **სასაწყობო (სწ-1)** და **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობები ერთიან სივრცეებშია განთავსებული და დერეფნები და კიბეები არ გააჩნია.

1016.2 ცხრილის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, <u>საშხეფი სისტემის გარეშე</u>, დაშვებულია:
სწ-1 და **სქ** ჯგუფებისთვის **60** მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია **57** მეტრი, რაც აკმაყოფილებს აღნიშნული ცხრილის მოთხოვნას.

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

როგორც აღინიშნა, საპროექტო შენობა ერთსართულიანია და ორ ერთიან სივრცედაა გაყოფილი, რის გამოც შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და დერეფნები არ გააჩნია, აქვს მხოლოდ გასავლელები, რომელიც შენობის აუცილებელი გასასვლელი საშუალებების ელემენტებია. გასავლელები მოწყობილია **1017 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.

მიწისპირა სართულზე შენობიდან გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე **(0.82 მ)** განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** არსებული პროექტით, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარის სუფთა მინიმალური სიგანე წარმოდგენილია **0.85 მ**. გასასვლელი გზა-კარები, ასევე, აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის**

მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით (გზა-კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი 30 წთ).

6) მისაწვდომობის შეფასება.

მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილი უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზით საზოგადოებრივი ქუჩიდან შენობის მისაწვდომ შესასვლელამდე. გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირის მისაწვდომობას, „წესების“ **1104 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად. მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შენობის გარეთ აღემატება 1.2 მეტრს, რაც აკმაყოფილებს „სტანდარტების“ **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნას.

საპროექტო შენობის მთავარ შესასვლელთან მოწყობილია 7.5 %-იანი დახრის პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირის შენობაში შესვლა-გამოსვლას და მიწის დონესთან მისადგომს 0.00-დან -0.60 ნიშნულზე. შენობაში შესასვლელი გზა-კარის გაბარიტული ზომები (850X2050 მმ) შეესაბამება სტანდარტით დადგენილს.

საპროექტო შენობის გარეთ, ცალკე მდგომ შენობაში, მოწყობილია ტუალეტის ოთახი (ფართობით 6.3 $მ^2$), სადაც გათვალისწინებულია „ა“ ტიპის ერთეულის შესაბამისი სველი წერტილები, რომლებიც აკმაყოფილებს მეექვსე თავის მოთხოვნებს, კერძოდ: გათვალისწინებულია რეგლამენტირებული თავისუფალი სივრცე უნიტაზთან და ხელსაბანის ნაკვეთურთან, ასევე, გათვალისწინებულია T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, სტანდარტების **304 ქვეთავის** შესაბამისად. სველ წერტილში შესასვლელ კართან გათვალისწინებულია სტანდარტების **404 ქვეთავის** შესაბამისი თავისუფალი სივრცე კართან, ასევე, კარის სუფთა ღიობის ზომები (820X2050 მმ), „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ნორმების გათვალისწინებით.

შენობის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილია მისაწვდომობით და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ლითონის ღეროვან სივრცით კარკასს, რომელზეც მოწყობილია "ქვაბამბის სენდვიჩის" ტიპის მეტალის მრავალფენიანი პანელები 1-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხით, რაც სრულიად აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** („ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით“) განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

705.8 ცხრილის თანახმად, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, დაუცველი, საშხეფის გარეშე, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

A – C ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **5.5** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **25 %**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

C – G ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **50.5** მეტრია, ღიობები დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **21 %**.

1* – 4 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **32.8** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **11 %**.

4 – 9 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9.3** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

G – A ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **1.9** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **10 %**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

9 – 1* ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **0** მეტრია, ღიობები **დაუშვებელია**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

1505.1 ცხრილის თანახმად, სახურავის მინიმალური ბურულების კლასიფიკაციით, შენობა-ნაგებობის კონსტრუქციის **II-B** ტიპისთვის განსაზღვრულია **C** კლასის სახურავის ანაწყობები. **1505.4 ქვეთავის** თანახმად, **C** კლასის სახურავის ანაწყობებად თვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას.

საპროექტო შენობას აქვს ორქანობიანი გადახურვა. სახურავი ეყრდნობა ლითონის ფერმებს და გადახურულია ლითონის ფერმაზე მოწყობილი ქვა-ბამბის სენდვიჩ-პანელით, რომელიც ერთსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხისაა და **B** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება.

სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილებისა და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება **1503.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს **1** საათს (ლითონის ფერმაზე მოწყობილი "ქვაბამბის სენდვიჩის" ტიპის მეტალის მრავალფენიანი ფენილი), რაც მეტია **601 ცხრილში II- B** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ **0-**საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხზე.

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა ერთსართულიანი კარკასული ნაგებობაა, რომელის გარე კედლები და სახურავის ზედაპირები ერთსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხისაა.

<u>სასაწყობო შენობაში</u> განთავსებული დაკავებულობები **(სწ-1** და **სქ)** ერთმანეთისგან გამიჯნულია **1**-საათიანი ხარისხის ცეცხლმედეგი კედლებით.

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო შენობის დაკავებულობებისთვის წესების **მე-9 თავის** მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემები:

903 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა არ საჭიროებს ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობას.

904 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

905 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობაში სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა გათვალისწინებულია.

906.1 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება.

907 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობაში მოწყობილია სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები.

908 ქვეთავის მიხედვით, შენობა საავარიო განგაშის სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

909 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა უზრუნველყოფილია კვამლის საკონტროლო სისტემით.

912.2 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობის გარედან დაყენებულია სახანძრო ჰიდრანტი.

საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია ხელოვნური განიავების სისტემის მოწყობა.

საპროექტო შენობის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინებულია ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა.

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **სასაწყობო (სწ-1)** და **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და შეესაბამება **ცხრილი 1602.1-**ის მინიმალურ მოთხოვნებს. წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

სასაწყობო (სწ-1) და **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=53):

- 1 უნიტაზი და 1 ხელსაბანი;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

დასკვნა:

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში (ს/კ 01.17.11.008.206) ტერიტორიაზე განთავსებული სასაწყობე შენობის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი-არქიტექტორი კახაბერ მაჩაიძე.

14. 07. 2021 წ.

პერსონალური ინფორმაცია



დაბადების თარიღი: 23 მაისი, 1962 წ.
დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

განათლება

1979-1984	**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. არქიტექტურის ფაკულტეტი.** სპეციალობა: მოცულობითი არქიტექტურა, ლანდშაფტური არქიტექტურა, ინტერიერი, კულტურის ძეგლების რესტავრაცია. არქიტექტორ-ინჟინრის დიპლომი.

პროფესიული გამოცდილება

2017-2021	**არქიტექტურულ სამშენებლო კომპანია „მეგობრობა“** მთავარი მთავარი არქიტექტორი.
2013-2021	**არქიტექტურულ სამშენებლო კომპანია „დომუსი“** არქიტექტორი.
2011-2012	**არქიტექტურულ სამშენებლო კომპანია „ალიონი 99“** არქიტექტორი.
2000 -2012	**სამშენებლო კომპანია „იბერია“** მთავარი არქიტექტორი.
1984-2000	**„საქქალაქმშენსახპროექტი“.** არქიტექტორი, სახელოსნოს მთავარი სპეციალისტი.

რეალიზებული ობიექტები

– „იბერია ჰილსი“ – საცხოვრებელი დასახლება, ბაგები
– სასაქონლო ფერმა რაჭაში, სოფელი შარდომეთი.
– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შენობა, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2
– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის №33ა
– მაღაზია “ბელუქსი”, თბილისი
– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ფალიაშვილი №108
– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რადიანის ქუჩა
– სასტუმრო ყვარელში 75 ადგილზე
– პანსიონატი გაგრაში 300 ადგილზე
– საბავშვო ბაღი გაგრაში 200 ადგილზე
– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, წყნეთის გზატკეცილი № 2
– თეატრი სიღნაღში
– საცურაო აუზი, წყალტუბო
– საცურაო აუზი, თოხლიაური
– ნადიკვარის პარკის კეთილმოწყობა
– საცხოვრებელი სახლი, აწყურის ქუჩა
– ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ცხვედაძის ქუჩა
– ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ბაგები
– საწყობი დიდუბეში
– სპირტის დამამზადებელი ქარხანა აგარაში
– ხორცპროდუქტების ქარხანა „ლიდერიფუდი“ ნატახტარში
– ხორცპროდუქტების ქარხანა „ვაკე“ თბილისში
– შპს „სიფუდ გრუპის“ სამაცივრე შენობა თბილისში
– ალუმინის კარ ფანჯრების ნაკეთობათა საამქრო თბილისში

გამოფენები-ჯილდოები

– ნომინაცია: „წლის საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოების დათვალიერება”, კიევი (1990);
– ნომინაცია: „წლის საუკეთესო არქიტექტორული ნაწარმოები”, თბილისი (1996);
– „გაეროს“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში „იძულებით გადაადგილებულთაგვის, სწრაფად ასაწყობი საცხოვრებელი სახლები“: I პრემია თბილისი (1996);
– წამახალისებელი პრემია „ისრაელში ქართული კულტურის ცენტრი”, თბილისი (1997);
– საერთაშორისო არქიტექტურული გამოფენა–კონკურსი „ოქროს კაპიტელი“ თბილისი (2005);
– ნომინაცია: „წლის საუკეთესო არქიტექტურული პროექტი“ თბილისი (2005);
– ბიოგრაფია შეტანილია ჟურნალებში: „არქიტექტურა და დიზაინი“, „ატრიუმი“, „სტილი“.

კომპიუტერული უნარ-ჩვევები

Archicad, AutoCAD, Photoshop, Excel, Microsoft Office.

ენების ცოდნა

რუსული-კარგად
ინგლისური-საწყის დონეზე
ქართული-მშობლიური

Georgia IDENTITY CARD

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
კახაბერ
KAKHABER

გვარი / LAST NAME
მაჩაიძე
MACHAIDZE

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მ / M	01023008398

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
23.05.1962	21.01.2029

ბარათის No / CARD No
18IC66094

ხელმოწერა
SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
21.01.2019

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2018
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGEO18IC660948010230083 98<<<<
6205232M2901215GEO<<<<<<<<<<<0
MACHAIDZE<<KAKHABER<<<<<<<<<<

დიპლომი

ЛВ № 053512

ეს დიპლომი მიეცა კახაბერ

იურის ძე მაჩაიძეს

მასზე, რომ იგი 1979 წელს შევიდა

საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1984 წელს დაამთავრა

აღნიშნული

ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით

არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1984 წ.

„14“ ივლისის გადაწყვეტილებით

კ.ი. მაჩაიძეს მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1984 წ. „27“ IX

სარეგისტრაციო № 1573

Грузинский яз.

ДИПЛОМ

ЛВ № 053512

Настоящий диплом выдан Мачаидзе

Кахаберу Юрьевичу

в том, что он в 1979 году поступил

в Грузинский политехнический

институт им. В.И. Ленина

и в 1984 году окончил полный курс

названного

института

по специальности

архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „14“ июля 1984 г.

Мачаидзе К.Ю.

присвоена квалификация

архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „27“ IX 1984 г.

Регистрационный № 1573

Московская типография Гознака. 1983.